ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 5-12/15161874-16

"31" 07 2015 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში (სექტორი-ისანი), წითელწყაროს ქუჩისა და წითელწყაროს I შესახვევის კუთხეში, დედოფლისწყაროს ქ. მე-2 შესახვევი №1-ში (ნაკვეთი №52/17) (საკ. კოდი №01.17.01.052.018) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა შესახებ და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №1878230 19.05.2015წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში (სექტორი-ისანი), წითელწყაროს ქუჩისა და წითელწყაროს I შესახვევის კუთხეში, დედოფლისწყაროს ქ. მე-2 შესახვევი №1-ში (ნაკვეთი №52/17) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

ფასადი ,,1-4": ,,1-2" მონაკვეთში შეცვლილია პანდუსის კედლების ფორმა. დამატებულია კარი. ,,4-4" ღერძის გასწვრივ შეცვლილია კედლის მოპირკეთება. ,,5-6" მონაკვეთში დამატებულია სატელიტური თეფში.

ფასადი ,,6-1": ,,2-2" ღერძთან არ არის მოწყობილი ლითონის ცხაური. ,,4-3" მონაკვეთში კარის თავზე შეცვლილია ლითონის ცხაურის გაბარიტი.

ფასადი ,,ა-თ": ,,ა-ბ" მონაკვეთში შეცვლილია კედლის ფორმა. შეცვლილია სახურავის ფორმა და გაზრდილია გადახურვის გაბარიტი. ,,ბ-ბ" ღერძთან გაზრდილია აგურით მოპირკეთების გაბარიტი.

ფასადი ,,თ-ა": გაზრდილია აგურით მოპირეკეთების გაბარიტი. +21.450 ნიშნულზე შეცვლილია ვირტაჟის ნახატი.

ფასადებზე პირველ სართულზე რიგელები გალესილია.

ანტრესოლის ლითინის კონსტრუქციები არ არის აღნიშნული პროეტში. ,,გ-დ" მონაკვეთში გაუქმებულია ანტრესოლი კიბე. ,,დ-ე" მონაკვეთში კიბეს მონაცვლებული აქვს ადგილი და შეცვლილია ანტრესოლის ფორმა. ,,5-6" მონაკვეთში არ არის მოწყობილი ანტრესოლი და კიბე. +21.450 ნიშნულზე კოლონას მონაცვლებული აქვს ადგილი. ,,5-6" მონაკვეთში არ არის მოწყობილი კიბე. შეცვლილია ვიტრაჟის ნახატი და გაბარიტი, გაუქმებულია შუაკედლისი. შეცვლილია გამწოვი შახტების ფორმა, დამატებულია ლითონის ფურცლები. შეცვლილია სამერცხლის ღიობის გაბარიტი.

პანდუსის კედელი ნაწილობრივ ცდება საკადასტრო წითელ ხაზებს.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.კ. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი

პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „ვინჩი დეველოპმენტი"-ს, მერაბ კაკულიას, ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში (სექტორი-ისანი), წითელწყაროს ქუჩისა და წითელწყაროს I შესახვევის კუთხეში, დედოფლისწყაროს ქ. მე-2 შესახვევი №1-ში (ნაკვეთი №52/17) (საკ. კოდი №01.17.01.052.018) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №12/15161874-16 10.06.2015წ. განცხადება.
№წ-12/15161874-16 19.06.2015წ. ბრძანება.

სამსახურის უფროსის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი **ვლადიმერ ყუშიტაშვილი**